

კითხვები

9. აუდიტორული ფირმა „ბუნკი“ (P7 – 2015 წლის ივნისი) (შეცვლილი) 49 წთ.

თქვენ უფროს მენეჯერად მუშაობთ საერთაშორისო აუდიტორულ ფირმა „ბუნკი“, რომელსაც 30-ზე მეტ ქვეყანაში აქვს ოფისები. თქვენ პასუხისმგებელი ხართ აუდიტის ხარისხისა და ეთიკური სიტუაციების მონიტორინგზე, რომელიც შეიქმნება აუდიტის დამკვეთებთან მიმართებით. კომპანია „ვაიარი“ თქვენი ფირმის აუდიტის დამკვეთია, მისი საქმიანობა მოიცავს გადაზიდვებსა და დისტრიბუციას. „ვაიარის“ 20X4 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორის დასკვნა გასულ კვირას გამოიცა. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული \$8.7 მლნ ამონაგები, \$15.2 მლნ აქტივები და \$1.8 მლნ დაბეგვრამდე მოგება.

თქვენ ამჟამად ატარებთ ამ აუდიტის ხარისხისა და წამოჭრილი ეთიკური საკითხების მიმოხილვას.

შემდეგ **დანართში** მოცემულია კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

1. ინფორმაცია მოპოვებულია აუდიტის გარიგების პარტნიორ ლესტერ ფრიმენტთან მსჯელობისას.

ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ კითხვის **მოთხოვნებზე** პასუხის გაცემისას.

დანართი 1:

- ა) „ვაიარის“ აუდიტის კომიტეტმა უარი თქვა აუდიტის საზღაურის გაზრდაზე, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის საქმიანობა გაფართოვდა და ახალი ტერიტორიები მოიცვა. ამის შედეგად აუდიტის მსვლელობისას გაიზარდა არსებითობის დონე და არ ჩატარდა ზოგიერთი მიმოხილვის პროცედურა. დეტალური (ელემენტების) ტესტირებისას გამოყენებული შერჩევითი ერთობლიობის მოცულობის შესამცირებლად შერჩევითი ერთობლიობა შეადგინეს განსჯის საფუძველზე, სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ნაცვლად. ამასთან, ტესტები ჩატარდა გენერალური ერთობლიობის მხოლოდ ნაწილზე, მაგალითად გარკვეული ადგილმდებარეობები არ შედიოდა გრძელვადიანი აქტივების შერჩევით ერთობლიობაში, რომელიც შეადგინეს მათი ფიზიკური არსებობის ტესტირებისთვის. (6 ქულა)

- ბ) აუდიტის გარკვეული სამუშაო შეასრულა „ბუნკის“ უცხოურმა ოფისმა „ოფშორული“ შეთანხმებით. ამ პრაქტიკას მიესალმება „ბუნკი“, მის მმართველ პარტნიორებს ეს გზა აუდიტის ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებად მიაჩნიათ. უცხოური ოფისი სამუშაოს უფრო ნაკლები დანახარჯებით ასრულებს და ეს მნიშვნელოვნად დაბალრისკიანი სამუშაოა, რომელსაც განსჯა არ ესაჭიროებოდა, რაც ასახულია „ვაიარის“ აუდიტთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმებაში, მაგალითად, დოკუმენტების ნუმერაციის შემოწმების სახით. ამასთან, უცხოური ოფისი კითხულობს საბჭოს სხდომების ოქმებს, რათა აუდიტისთვის შესაფერისი საკითხები გამოავლინოს. (5 ქულა)

- გ) 20X4 წლის ივლისში რასელ ბელი, „ვაიარის“ ყოფილი ფინანსური დირექტორი, „ბუნკის“ აუდიტის პარტნიორი გახდა და იმავე ოფისში მუშაობს, სადაც ლესტერ ფრიმენი. მართალია, რასელი არ იყო აუდიტის გუნდის წევრი, მაგრამ მან ლესტერს ინფორმაცია მიაწოდა კომპანიის საქმიანობის იმ სიახლეებზე, რაც კომპანიიდან მის წამოსვლამდე მოხდა. რასელი ფლობდა „ვაიარის“ აქციებს, რომლებიც 20X5 წლის იანვარში გაყიდა. „ბუნკი“ გადმოსვლის შემდეგ რასელი ფირმის შემოსავლის გაზრდის ინიციატივებით გამოდის. ერთ-ერთი ინიციატივა იმაში მდგომარეობდა, რომ აუდიტის გუნდის წევრებმა ხელი უნდა შეუწყონ არააუდიტორული მომსახურების გაყიდვას აუდიტის დამკვეთებზე, რაც ახლა ასახულია პარტნიორისა და თანამშრომლების შეფასების დოკუმენტაციაში. (9 ქულა)

მოგეთხოვებათ:

გამოიყენოთ 1-ელ დანართში მოცემული ინფორმაცია და:

კომენტარი გააკეთოთ „ვაიართან“ მიმართებით წამოჭრილ ხარისხის მართვის, ეთიკურ და პროფესიულ საკითხებსა და „ბუნკის“ ფირმის დონის პოლიტიკაზე; ასევე წარმოადგინოთ რეკომენდებული ღონისძიებები, რომლებიც აუდიტორულმა ფირმამ უნდა განახორციელოს ამასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: იგულისხმეთ, რომ ახლა 20X5 წლის 6 ივნისია.

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპტიციზმის, განსჯის უნარისა და კომერციული ალღოს დემონსტრირებისთვის. (5 ქულა)

(სულ: 25 ქულა)

10. აუდიტორული ფირმა „გრეიფი“ (P7 – 2009 წლის დეკემბერი) (შეცვლილი) 49 წთ.

თქვენ ხართ ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ფირმის „გრეიფის“ მენეჯერი. დროებით დაგნიშნეს კომპანია „ბანანას“ აუდიტის მენეჯერად, გარიგების მენეჯერის ავადმყოფობის გამო. „ბანანას“ 20X5 წლის 28 თებერვალს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების საბოლოო აუდიტი დასასრულს უახლოვდება. ამჟამად თქვენ მიმოიხილავთ აუდიტის ფაილებს და აუდიტის გუნდის უმცროს წევრებთან განიხილავთ აუდიტს.

შემდეგ **დანართებში** მოცემულია კითხვის შესაფერისი ინფორმაცია:

1. ზოგადი საცნობარო ხასიათის ინფორმაცია „ბანანას“ შესახებ;
2. ინფორმაცია, რომელიც მიიღეთ აუდიტის ფაილების მიმოხილვის შედეგად;
3. პრობლემები, რომლებიც განსახილველად დააყენა უმცროსმა აუდიტორმა აუდიტის მართვასთან დაკავშირებით.

ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ კითხვის **მოთხოვნებზე** პასუხის გაცემისას.

დანართი 1.

„ბანანა“ აპროექტებს და აწარმოებს ამწეებსა და ხარაჩოებს სამშენებლო ინდუსტრიისთვის. როგორც წესი, ამ მოწყობილობებს სტანდარტული დიზაინი აქვს, მაგრამ „ბანანა“ ზოგჯერ სპეციფიკურ მოწყობილობას ამზადებს მომხმარებლებისათვის, ხელშეკრულებით განსაზღვრული სპეციფიკაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების პროექტში ნაჩვენებია ამონაგები \$12,5 მლნ, წმინდა მოგება – \$400,000 და მთლიანი აქტივები – \$78 მლნ-ის ოდენობის.

დანართი 2.

აუდიტის ფაილების მიმოხილვისას თქვენი ყურადღება მიიპყრო შემდეგმა ინფორმაციამ.

წლის განმავლობაში „ბანანას“ მიერ მართულ ქარხნებში ახალი სამრეწველო დანადგარები დამონტაჟდა. ქარხნის ყველა თანამშრომელმა გაიარა გარე ტრენინგების პროვაიდერი ფირმის მიერ ორგანიზებული ტრენინგი მანქანა-დანადგარების უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ. ტრენინგის მთლიანი დანახარჯებია \$150,000. ტრენინგის დანახარჯები კაპიტალიზებულია ახალი დანადგარების ღირებულებაში, რადგან, ფინანსური დირექტორის აზრით, ტრენინგი იმისთვისაა აუცილებელი, რომ ამ დანადგარებმა ეკონომიკური სარგებელი შექმნას. წლის დასრულების შემდეგ „ბანანას“ ერთ-ერთმა ძირითადმა მომხმარებელმა, კომპანია „ჩერიმ“, რომელთანაც რამდენიმე ხელშეკრულებაა გაფორმებული, თავი გადახდისუუნაროდ გამოაცხადა და კომპანიის დახურვის პროცედურები დაიწყო. „ჩერის“ ადმინისტრატორები ფიქრობენ, რომ კომპანიამ შეიძლება დაფაროს მხოლოდ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების (სავაჭრო ვალდებულებების) დაახლოებით 25%. „ბანანას“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამ მომხმარებელთან მიმართებით აღიარებულია \$120,000 სავაჭრო დებიტორული დავალიანება (სავაჭრო მოთხოვნა).

დანართი 3:

აუდიტის გუნდის ერთ-ერთმა უმცროსმა თანამშრომელმა შემოთქვა გამოთქვა აუდიტის მართვასთან დაკავშირებით და ასეთი რამ თქვა:

„ბანანას“ აუდიტის გუნდში განაწილებამდე მხოლოდ ორ აუდიტზე მიმუშავია. მოველოდი, რომ აუდიტის დაწყებისას დავესწრებოდი შეხვედრას, სადაც პარტნიორი და აუდიტის გუნდის სხვა უფროსი წევრები იმსჯელებდნენ აუდიტზე, მაგრამ შეხვედრა არ ჩატარებულა. ამასთან, აუდიტის მენეჯერი სამი კვირაა შვებულებაშია და თავისი მოვალეობის შემსრულებლად უფროსი აუდიტორი დატოვა, თუმცა, ის სხვა დავალებებით იყო დაკავებული და ყოველთვის ვერ ვუკავშირდებოდი.

მე დამავალეს წლის განმავლობაში კომპანიის შემენის შედეგად წარმოქმნილი გუდვილის აუდიტი. ვიმუშავე ასევე ინვენტარიზაციაზე, დავესწარი მარაგის დათვლას, რაც საკმაოდ რთული პროცესი იყო, რადგან „ბანანას“ დიდი ოდენობის დაუმთავრებელი წარმოება აქვს. ვეცადე, რაც შეიძლება სასარგებლო ვყოფილიყავი დათვლის პროცესში და დამკვეთის თანამშრომლებს დავეხმარე ზოგიერთი ნედლეულისა და მასალის დათვლაში. იმის გამო, რომ მარაგის დათვლას დავესწარი, უფროსმა აუდიტორმა მთხოვა, რომ ფინანსურ დირექტორთან გამერკვია მარაგის ანარიცხების საკითხი, რადგან, უფროსი აუდიტორის აზრით, ეს ანარიცხები მნიშვნელოვნად ნაკლები თანხით არის შეფასებული.

დასასრულს, აღმოვაჩინეთ, რომ აუდიტის პროცედურების დროულად დასრულებას ვერ ვასწრებდით. უფროსმა აუდიტორმა გვირჩია, დროის დასაზოგად შეგვემცირებინა ტესტებისთვის გამოყენებული შერჩევითი ერთობლიობების მოცულობა. მან გვითხრა ასევე, რომ „თუ შერჩევითი ერთობლიობიდან ავიღებთ მუხლს, რომლის შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვებას დიდი დრო დასჭირდება, იგი უნდა ჩავანაცვლოთ სხვა მუხლით, რომლის აუდიტი უფრო სწრაფად დასრულდება“.

მოგეთხოვებათ:

1-ელ და მე-2 დანართებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- ა) განსაზღვროთ განსახილველი საკითხები და ახსნათ აუდიტის მტკიცებულებები, რომლის ნახვა-საც მოელით აუდიტის ფაილის მიმოხილვისას, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - (i) ახალი დანადგარების ღირებულებაში კაპიტალიზებული ტრენინგის დანახარჯები; და
 - (ii) კომპანია „ჩერისთან“ დაკავშირებით აღიარებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება;

(12 ქულა)

გამოიყენოთ მე-3 დანართში მოცემული ინფორმაცია და:

- ბ) შეაფასოთ უმცროსი აუდიტორის მიერ „ბანანას“ აუდიტთან დაკავშირებით დაყენებული საკითხები;

(8 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის უნარის დემონსტრირებისთვის.

(5 ქულა)

(სულ: 25 ქულა)

12. „ბრედლი“ (2018 წ. სანიმუშო საგამოცდო კითხვა)

(შეცვლილი)

49 წთ.

სადაცაა დასრულდება კომპანია „ბრედლის“ 20X4 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და მომავალ კვირას უნდა გამოიცეს აუდიტორის დასკვნა. კომპანია „ბრედლი“ მართავს ფოლადის გადამამუშავებელ ქარხნებს 20 ადგილას და თავის პროდუქციას ჰყიდის მანქანათმშენებელ კომპანიებზე. ამჟამად თქვენ ატარებთ „ბრედლის“ აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვას, ვინაიდან ის არის თქვენი ფირმის ახალი მნიშვნელოვანი დამკვეთი. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულია ამონაგები \$2.5 მლნ და მთლიანი აქტივები \$35 მლნ.

შემდეგ დანართებში მოცემულია კითხვისთვის შესაფერისი ინფორმაცია:

1. აუდიტის ასისტენტის კომენტარები „ბრედლის“ აუდიტის შესახებ;
2. აუდიტის სამუშაო დოკუმენტის ცხრილი შეუსწორებელი უზუსტობების შესახებ.

ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ კითხვის მოთხოვნებზე პასუხის გაცემისას.

დანართი 1:

აუდიტის ერთ-ერთმა ასისტენტმა, რომელიც „ბრედლის“ აუდიტზე მუშაობდა, თქვენთან ერთად აუდიტის დასრულების განხილვისას შემდეგი კომენტარი გააკეთა:

„მე დამავალეს ანარიცხების აუდიტების ჩატარება. ერთ-ერთი ანარიცხი, \$10,000-ის ოდენობის, დაკავშირებულია ერთ-ერთი ფოლადის გადამამუშავებელი ქარხნის თანამშრომლის მიერ კომპანიის

წინააღმდეგ აღძრულ სასამართლოს სარჩელთან, რომელმაც მუშაობისას ტრავმა მიიღო უბედური შემთხვევის გამო. მე გავცეანე ყველა მიმოწერას, რომელიც ეხებოდა ამ საკითხს და ვცადე გასაუბრება „ბრედლის“ იურიდიულ კონსულტანტებთან, მაგრამ ფინანსურმა დირექტორმა მითხრა, რომ მე მათ არ უნდა მივმართო, მხოლოდ მას უნდა ვესაუბრო ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მითხრა, რომ, მისი აზრით, უნდა აღიარდეს მხოლოდ \$10,000 და იურიდიული კონსულტანტებიც დაეთანხმნენ ამაზე სარჩელის საკითხის განხილვისას. აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში მე ჩავწერე, რომ ვერ შევძელი ყველა დაგეგმილი აუდიტის პროცედურის ჩატარება, ვინაიდან ვერ შევძელი იურიდიულ კონსულტანტებთან გასაუბრება. აუდიტის მენეჯერმა მითხრა, ჩამეწერა დასკვნა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად არის აღიარებული ანარიცხი მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და გამეგრძელებინა სხვა დავალების შესრულება. მან ამიხსნა, მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ვერ გავესაუბრე იურიდიულ კონსულტანტებს, ვინაიდან ეს საკითხი არსებითი არ არის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გუშინ ჩვენ მივიღეთ ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ვერსია და თავმჯდომარის განცხადება, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. მე სწრაფად გადავავლე თვალი ფინანსურ ანგარიშგებას, მაგრამ აუდიტის მენეჯერმა მითხრა, რომ ჩვენ არ გვჭირდება საბოლოო დეტალური ანალიზური მიმოხილვის ჩატარება ამ ფინანსური ანგარიშგების, რადგან ეს აუდიტი შედარებით დაბალრისკიანი იყო. მენეჯერმა ასევე მითხრა, რომ მან თავმჯდომარის განცხადება განიხილა ფინანსურ დირექტორთან ერთად, ამიტომ ამასთან დაკავშირებით რაიმე დამატებითი სამუშაოს ჩატარება აუცილებელი აღარ არის. აუდიტის ვადები ძალიან შემჭიდროებულია და როგორც ვიცი, დამკვეთს სურს, რაც შეიძლება მალე გადავცეთ აუდიტორის დასკვნა.“

დანართი 2

აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში, შეუსწორებელი უზუსტობების ცხრილს, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ, დაერთვის შენიშვნები ცხრილში ასახული თითოეული საკითხის ასახსნელად. აუდიტის გარიგების პარტნიორი ხვალ შეხვედრას მართავს კომპანიის ხელმძღვანელობასთან, რომელზეც შეუსწორებელ უზუსტობებს განიხილავენ.

	მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
	დებიტი \$	კრედიტი \$	დებიტი \$	კრედიტი \$
1. აქციებზე დაფუძნებული გადახდების პროგრამა	300,000			300,000
2. რესტრუქტურისაციის ანარიცხი		50,000	50,000	
3. დამატებითი ანარიცხის შეფასება ძნელად რეალიზებადი მარაგისთვის	10,000			10,000
სულ	310,000	50,000	50,000	310,000

შენიშვნები:

1. აქციებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამა შემოიღეს 20X4 წლის იანვარში. ხელმძღვანელობამ ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი თანხა არ აღიარა ამ პროგრამასთან დაკავშირებით, ვინაიდან ამტკიცებს, რომ „ბრედლის“ აქციის ფასის დაცემის გამო, გამოყოფილი აქციის ოფციონების აღსრულება ნაკლებად არის მოსალოდნელი. აუდიტორების დასკვნის თანახმად კი ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს ხარჯი და საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ციფრი;
2. ანარიცხი აღიარებულია რესტრუქტურისაციასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ფოლადის გადამამუშავებელი ერთ-ერთი ქარხნის დახურვას. ხელმძღვანელობამ ქარხნის დახურვის გადაწყვეტილება დაამტკიცა საბჭოს სხდომაზე 20X4 წლის აგვისტოში, მაგრამ ამის შესახებ კომპანიის თანამშრომლებს აცნობეს მხოლოდ 20X4 წლის სექტემბერში. აუდიტორების დასკვნა კი ასეთია, რომ ამასთან დაკავშირებით არ უნდა აღიარდეს ანარიცხი ფინანსურ ანგარიშგებაში;
3. შექმნილია ანარიცხი, რომელიც დაკავშირებულია ერთ-ერთი ტიპის ძნელად რეალიზებად ფოლადთან, რომელზეც მოთხოვნა დაეცა. ხელმძღვანელობას უკვე აღიარებული აქვს ანარიცხი \$35,000, რომელიც აუდიტორულ ფირმას არ მიაჩნია საკმარისად.

მოგეთხოვებათ:

გამოიყენოთ 1-ელ დანართში მოცემული ინფორმაცია და:

- ა) ახსნათ აუდიტის ხარისხის მართვასთან დაკავშირებული და სხვა პროფესიული საკითხები, რომლებიც აუდიტის ასისტენტმა წამოაყენა თავის კომენტარებში და ასევე განიხილოთ, რა გავლენას იქონიებს ეს აუდიტის დასრულებაზე; (10 ქულა)

გამოიყენოთ მე-2 დანართში მოცემული ინფორმაცია და:

- ბ) ახსნათ საკითხები, რომლებიც უნდა განიხილოთ ხელმძღვანელობასთან ერთად თითოეულ შეუსწორებელ უზუსტობასთან დაკავშირებით. (10 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის უნარის დემონსტრირებისთვის.

(5 ქულა)
(სულ: 25 ქულა)

45. აუდიტორული ფირმა „მაკაუ“ (P7 – 2016 წლის მარტი/ივნისი) (შეცვლილი) 49 წთ.

თქვენ უფროსი მენეჯერი ხართ ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ფირმა „მაკაუში“. თქვენ, როგორც გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველს, გთხოვთ კომპანია „სტენლის“ და კომპანია „ქოულუნის“ აუდიტის ფაილების მიმოხილვის ჩატარება. ორივე კომპანიის ფინანსური წელი მთავრდება 20X5 წლის 31 დეკემბერს და ორივე კომპანიის აუდიტი დასასრულს უახლოვდება.

- ა) „სტენლი“ გაყინული სურსათის გადამამუშავებელი კომპანიაა და თავის პროდუქციას ჰყიდის ბითუმად მოვაჭრე კომპანიებსა და სუპერმარკეტებზე. აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვისას შეამჩნიეთ, რომ დაგეგმვის ეტაპზე არსებითობის დონე განისაზღვრა \$1.5 მლნ-ით და არსებითობის ეს ზღვარი გამოიყენებოდა აუდიტის მსვლელობისას. აუდიტის ფაილში არ არსებობს აუდიტის დროს ამ ზღვრის გადასინჯვის და შესწორების მტკიცებულება.

აუდიტის გეგმის მიმოხილვიდან იცით, რომ „სტენლიმ“ 20X5 წლის მარტში შეიძინა \$1.6 მლნ ღირებულების ახალი შესაფუთი დანადგარი, რომელიც 20X5 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პროექტში აღიარებულია \$1.4 მლნ საბალანსო ღირებულებით. ეს შესაფუთი დანადგარი განთავსებულია კომპანია „აბერდინის“ შენობაში. ეს არის სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც ახორციელებდა „სტენლის“ პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის შეფუთვისა და დისტრიბუციას. დანადგარის ფიზიკური არსებობა არ დაუდასტურებულა აუდიტის გუნდის წევრების მიერ. აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში ჩაწერილია ასეთი დასკვნა: „ჩვენ მოვიპოვეთ შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურა და შეკვეთა ამ დანადგართან დაკავშირებით, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქტივი სათანადოდაა შეფასებული და არსებობს. ამასთან, კომპანია „აბერდინის“ მმართველმა დირექტორმა წერილობით დაადასტურა, რომ დანადგარი მათ შენობაშია და გამართულად მუშაობს. ამ მუხლთან დაკავშირებით დამატებითი სამუშაოს ჩატარება საჭირო არ არის.“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პროექტში მარაგები ასახულია \$2 მლნ ღირებულებით. თქვენ მიმოხილეთ ინვენტარიზაციისას გამოყენებული აუდიტის პროცედურების შედეგები, სადაც აუდიტის გუნდის მიერ ჩატარებული სატესტო დათვლა გვიჩვენებს, რომ კომპანიის თანამშრომლების მიერ დათვლილი ზოგიერთი მარაგის რაოდენობა არასწორი იყო. სამუშაო დოკუმენტებში წერია, რომ „მარაგების დათვლის/ინვენტარიზაციის პროცესი კარგად არ იყო ორგანიზებული“ და გამოტანილია დასკვნა – „თუმცა, განსხვავებები არაარსებითი იყო, ამიტომ დამატებითი პროცედურების ჩატარება საჭირო არ არის.“

გუშინ უფროსი აუდიტორი გესაუბრათ და შემფოთება გამოხატა ამ აუდიტის შედეგებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემულია მისი კომენტარების რეზიუმე:

„აუდიტის მენეჯერი და აუდიტის გარიგების პარტნიორი ერთსა და იმავე დღეს მოვიდნენ აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვის ჩასატარებლად, როდესაც მთავრდებოდა ადგილზე ჩასატარებელი აუდიტის სამუშაოები. აუდიტის პარტნიორმა მკითხა, რაიმე პრობლემა ხომ არ იყო აუდიტის იმ ნაწილში, რომელზეც მე ვმუშაობდი და როდესაც ვუპასუხე, რომ პრობლემები არ ყოფილა, მან სწრაფად გადაავლო თვალი სამუშაო დოკუმენტებს და ხელი მოაწერა.

კომპანიის საბჭოს ოქმების წაკითხვისას ვნახე, რომ რამდენიმე ადგილზე ნახსენები იყო აუდიტის გარიგების პარტნიორი, ჯო ლანტაუ. როგორც ჩანს, ჯომ კომპანიას რეკომენდაცია მისცა, რომ მისი ძმის, მიკ ლანტაუს მომსახურება გამოეყენებინათ კომპანიის ბიზნესის განვითარების თაობაზე კონსულტაციის მისაღებად, რადგან მიკი კონსულტანტია მენეჯმენტის საკითხებში. ამ რეკომენდაციის საფუძველზე მიკი კომპანია „სტენლის“ 20X5 წლის სექტემბრიდან საკონსულტაციო მომსახურებას უწევს. ჯოსთან ვახსენე ეს საკითხი და მან მითხრა, რომ აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში ამის შესახებ არ დამეწერა და არც არავისთან განმეხილა ეს საკითხი.”

მოგეთხოვებათ:

კომენტარების გაკეთება ჩატარებული აუდიტის ხარისხზე, სადაც განიხილავთ წამოჭრილ ხარისხის კონტროლის, ეთიკურ და სხვა პროფესიულ საკითხებს. **(13 ქულა)**

- ბ) კომპანია „ქოულუნსი“ მუშაობს დიდი ზომის სამედიცინო მოწყობილობების (როგორც არის, მაგალითად რადიოთერაპიისა და რენტგენის დანადგარები) დაპროექტებისა და წარმოების ხელშეკრულებებზე. კომპანია სპეციალიზებულია მომხმარებლის მოთხოვნილებების შესაბამისი მოწყობილობების კონსტრუქციის შემუშავებაზე (დაპროექტებაზე), მათ წარმოებასა და დამონტაჟებაზე, ინდივიდუალურ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებიც, როგორც წესი, კერძო სამედიცინო კომპანიებია. ფინანსური ანგარიშგების პროექტში აღიარებულია დაბეგვრამდე მოგება \$950,000 და მთლიანი აქტივები \$7.5 მლნ.

უფროსმა აუდიტორმა განსახილველად დაგიტოვათ შემდეგი შენიშვნა:

„კომპანია „ქოულუნსის“ ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელია „ბეი მედიკალ სენტა“, კერძო საავადმყოფო. 20X5 წლის ივნისში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში „ქოულუნსი“ რადიოთერაპიის ახალი დანადგარი უნდა შეექმნა „ბეი მედიკალ სენტასთვის“. დანადგარი ინოვაციურია და იქმნება „ბეი მედიკალ სენტას“ სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების თანახმად, დანადგარის კონსტრუქციის შემუშავებასა და წარმოებას 18 თვე დასჭირდებოდა და 20X6 წლის დეკემბერში დამონტაჟდებოდა. 20X5 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ქოულუნსი“ დიდი ინვესტიცია ჰქონდა ჩადებული ამ ხელშეკრულებაში და დანადგარის დაპროექტების მთლიანი დანახარჯი, \$350,000, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პროექტში აღიარებული იყო დაუმთავრებელი წარმოების სახით. გადავადებული შემოსავალი (\$200,000) აღიარებულია მოკლევადიანი ვალდებულების სახით და წარმოადგენს „ბეი მედიკალ სენტას“ მიერ დაპროექტების დანახარჯების ნაწილობრივ დასაფინანსებლად შესრულებულ გადახდას. „ბეი მედიკალ სენტას“ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით „ქოულუნსი“ სხვა საბუღალტრო გატარება არ შეუსრულებია.

როდესაც ვატარებდით შემდგომი მოვლენების მიმოხილვას, „ქოულუნსს“ და „ბეი მედიკალ სენტას“ შორის მიმოწერის მასალის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ „ბეი მედიკალ სენტამ“ ხელშეკრულება გააუქმა, რადგან მას არ შეუძლია თანხის გადახდა დანადგარის დასრულებისთვის. როგორც ჩანს, „ბეი მედიკალ სენტამ“ 20X5 წლის ბოლოს დიდი ოდენობის ფინანსები დაკარგა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. „ბეი მედიკალ სენტას“ გაფორმებულ ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელი მენეჯერი ადასტურებს, რომ „ბეი მედიკალ სენტა“ მას 20X5 წლის დეკემბერში დაუკავშირდა კომპანიის ფინანსურ სირთულეებთან დაკავშირებით.

საკითხი განიხილეს „ქოულუნსის“ ფინანსურ დირექტორთან, რომელმაც განაცხადა, რომ ის კმაყოფილია ამჟამად გამოყენებული სააღრიცხვო მიდგომით და არ აპირებს კორექტირების შეტანას „ბეი მედიკალ სენტასთან“ ხელშეკრულების გაუქმების გამო. ფინანსურმა დირექტორმა ასევე გითხრა, რომ „ბეი მედიკალ სენტას“, როგორც მომხმარებლის დაკარგვა ნახსენები არ იქნება

კომპანიის ინტეგრირებულ ანგარიშში, რადგან მას ეს საკითხი საკმარისად მნიშვნელოვნად არ მიაჩნია იმისათვის, რომ ანგარიშში განიხილოს.

„ქოულუნ“ ამჟამად სხვა მომხმარებლებთან გაფორმებულ ექვს ხელშეკრულებაზე მუშაობს. ჩვენი აუდიტის მტკიცებულებების მიხედვით, „ქოულუნს“ არა აქვს ფუნქციონირებადობის სტატუსის პრობლემა მომხმარებლის „ბეი მედიქალ სენტას“ დაკარგვის გამო.”

საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტის სამუშაოს მიმოხილვის შედეგად თქვენც მხარს უჭერთ ამ დასკვნას.

მოგეთხოვებათ:

აღწეროთ განსახილველი საკითხები და წარმოადგინოთ იმ პროცედურების რეკომენდაცია, რომლებიც აუდიტორმა უნდა ჩაატაროს. (7 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის უნარის დემონსტრირებისთვის. (5 ქულა)


(სულ: 25 ქულა)

54. „მაგნოლია“ (P7 – 2017 წლის მარტი/ივნისი) (შეცვლილი)

49 წთ.

თქვენ ხართ პასუხისმგებელი ერთ-ერთი შერჩეული აუდიტის დამკვეთის „კროკუსის“ გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე და ამჟამად ატარებთ ჯგუფ „მაგნოლიას“ აუდიტს. ჯგუფი აწარმოებს ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც მრეწველობის სხვადასხვა დარგში გამოიყენება. ამასთან მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია „დეისი“ სპეციალიზებულია ქიმიურ მანქანათმშენებლობაზე და ისეთი პროდუქტების გამოშვებაზე, რომლებიც მიეყიდება ჯგუფის სხვა კომპანიებს. ჯგუფის პროდუქცია 50 მეტ ქვეყანაში იყიდება.

შემდეგ სქემაზე ნაჩვენებია ჯგუფის სტრუქტურა. თითოეული შვილობილი საწარმო ჯგუფის მშობელი კომპანიის „მაგნოლიის“ სრულ საკუთრებაში იმყოფება:



„კროკუსი“ დაიქირავეს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და ასევე „ჰაიკის“ და „მაგნოლიის“ აუდიტის ჩასატარებლად. ახალი შვილობილი კომპანიის „გერანიუმის“ აუდიტს ატარებს ადგილობრივი აუდიტორული ფირმა, რომელიც მდებარეობს კომპანიის სათავო ოფისის მახლობლად. „დეისის“ აუდიტს ატარებს სხვა აუდიტორული ფირმა, რომელიც დაკავშირებული არ არის „კროკუსთან“ და სპეციალიზებულია ქიმიურ მანქანათმშენებლობასთან დაკავშირებული კომპანიების აუდიტზე.

ჯგუფის ფინანსური წელი მთავრდება 20X6 წლის 31 დეკემბერს და მისი აუდიტი ამჟამად დასრულების სტადიაზეა. სამ კვირაში უკვე უნდა გასცენ აუდიტორის დასკვნა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროექტში აღიარებულია დაბეგვრამდე მოგება \$7.5 მლნ და მთლიანი აქტივები – \$130 მლნ.

ქვემოთ მოცემულია თქვენი შენიშვნები, რომელიც ჩაიწერეთ აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვის შემდეგ, სადაც მოკლედ განხილულია თითოეულ შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული საკითხები.

ა) კომპანია „ჰაიკი“ – შიდა კონტროლი და კონტროლის პროცედურების ტესტირების შედეგები

ჯგუფის კომპანიები ერთმანეთს აწვდიან სხვადასხვა სახის ქიმიურ პროდუქტს, რომელსაც იყენებენ ქიმიკატების საწარმოებლად. აუდიტის სამუშაოდან, რომელიც ჩატარდა „ჰაიკის“ აუდიტის შუალედურ ეტაპზე, მათ შორის თავიდან ბოლომდე გავლის ტესტებიდან და შიდა კონტროლის შეფასებებიდან გამოჩნდა, რომ ეფექტიანი არ იყო შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული შიდა კონტროლი და აუდიტორების ეს დასკვნა დოკუმენტირებული იყო აუდიტის ფაილში. საბოლოო აუდიტის მსვლელობისას ჩატარდა კონტროლის ტესტები იმის დასადასტურებლად, რომ ეს ნამდვილად ასეა. კონტროლი ტესტებმა დაადასტურეს, რომ შიდაჯგუფური ოპერაციები ცალ-ცალკე არ არის ასახული ჯგუფის სააღრიცხვო სისტემაში და არ ჩატარებულა შვილობილ კომპანიებს შორის არსებული დავალიანებების თანხების შეჯერება.

აუდიტის სამუშაო დოკუმენტებთან დაკავშირებით ჯგუფის აუდიტის მენეჯერმა დაასკვნა: „ვინაიდან შიდაჯგუფური ნაშთები კონსოლიდაციისას ელიმინირდება, ეს საკითხი გავლენას არ ახდენს ჯგუფის აუდიტზე და აუცილებელი არ არის რაიმე დამატებითი სამუშაოს შესრულება“.

აუდიტის ჩატარების მიდგომის ფარგლებში განისაზღვრა, რომ უნდა ჩატარდეს გაფართოებული ტესტირება კომპანია „ჰაიკის“ კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებულ შიდა კონტროლის პროცედურებზე, ვინაიდან დაგეგმვის პროცესში გამოვლინდა, რომ წლის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვანი ღირებულების მანქანა-დანადგარები შეიძინა. კონტროლის ტესტების ჩატარების შემდეგ აუდიტორებმა შეაფასეს, რომ „ჰაიკში“ კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული კონტროლი ეფექტიანად მუშაობს.

სამუშაო დოკუმენტებში ჩაწერილია ასეთი დასკვნა: „ჰაიკის“ კონტროლის ტესტირების შედეგების შემდეგ, გონივრული იქნება თუ ვიგულისხმებთ, რომ კონტროლის სისტემა ეფექტიანად მუშაობს მთელ ჯგუფში და ამგვარი შეფასების საპასუხოდ ჯგუფის თითოეული კომპანიის ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით დაიგეგმა და ჩატარდა ძირითადი პროცედურები“. (7 ქულა)

ბ) კომპანია „გერანიუმი“ – ახალი შვილობილი კომპანია.

ეს კომპანია შეიძინეს 20X6 წლის 30 სექტემბერს და მის აუდიტს ატარებს აუდიტორული ფირმა „ფერნი“. ჯგუფის აუდიტის სტრატეგია „გერანიუმის“ აუდიტთან დაკავშირებით მოიცავს შემდეგ განცხადებას: „გერანიუმის“ კონსოლიდაცია განხორციელდება მხოლოდ სამი თვის გათვალისწინებით და ამ პერიოდის შეძენის შემდგომი მოგება, რომელიც უნდა აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში, შეადგენს \$150,000-ს. ამის საფუძველზე „გერანიუმი“ არ არის არსებითი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებისთვის და, ამგვარად, ჩვენი აუდიტის პროცედურები ეყრდნობა მხოლოდ ანალიზურ პროცედურებს“. ჩატარებული ანალიზური პროცედურების გარდა სხვა არანაირი დოკუმენტაცია არ არსებობს კომპანია „გერანიუმთან“ და მის აუდიტორულ ფირმა „ფერნთან“ დაკავშირებით ჯგუფის აუდიტის სამუშაო დოკუმენტებში.

„გერანიუმის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პროექტში აღიარებულია მთლიანი აქტივები \$30 მლნ. (6 ქულა)

გ) კომპანია „დეისი“ – საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული შეზღუდვა

გარდა იმისა, რომ „დეისი“ ქიმიური მანქანათმშენებლობითა და ჯგუფის სხვა კომპანიებისთვის ქიმიური ნივთიერებების მიწოდებით არის დაკავებული, იგი ასევე სპეციალიზებულია ისეთი ქიმიკატების წარმოებაზე, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში და ამ პროდუქციის დაახლოებით ნახევარი საერთაშორისო მასშტაბით იყიდება.

„დეისის“ აუდიტს ატარებს აუდიტორული ფირმა „ფოქსგლოვი“ და ჯგუფის აუდიტის სამუშაო დოკუმენტები შეიცავს აუცილებელ შეფასებებს დასკვნის გამოსატანად იმის თაობაზე, რომ ჯგუფის აუდიტის გუნდმა სათანადო წარმოდგენა შეიქმნა ამ აუდიტორული ფირმის შესახებ.

აუდიტორულმა ფირმამ „ფოქსგლოვმა“ თქვენს ფირმას წარუდგინა აუდიტის შედეგად გამოტანილი ძირითადი დასკვნების სია, რომელიც მოიცავს შემდეგ განცხადებას: „წლის განმავლობაში ამოქ-

მედდა მთავრობის ახალი დადგენილება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად შეიზღუდა საერთაშორისო მასშტაბით ქიმიკატებით ვაჭრობა და ახლა მათი გაყიდვა ბევრ ქვეყანაში აკრძალულია. ჩვენმა აუდიტორულმა ფირმამ დაასკვნა, რომ ეს არ წარმოქმნის განუსაზღვრელობის მნიშვნელოვან რისკს კომპანია „დეისის“ საქმიანობისთვის. ამასთან, დავადასტურეთ, რომ მთელი მარაგი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით“.

ჯგუფის აუდიტის მენეჯერმა გამოიტანა ასეთი დასკვნა: „მოხარული ვარ, რომ ამ სფეროში დამატებითი სამუშაოს შესრულება არ გვჭირდება – შეგვიძლია დავეყრდნოთ „ფოქსგლოვის“ არამოდიფიცირებულ აუდიტორულ მოსაზრებას. ეს პრობლემა ჩვენთვის ცნობილი არ იყო მანამ, სანამ „ფოქსგლოვმა“ არ გამოავლინა. ჯგუფის საბჭოს წევრებს ჩემთვის არ უცნობებიათ ამის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

„დეისის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პროექტში აღიარებულია მთლიანი აქტივები \$8 მლნ, ხოლო მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში – დაბეგვრამდე მოგება \$50,000.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროექტში კომპანია „დეისთან“ მიმართებით აღიარებულია გუდვილი 3 მლნ (20X5 – \$3 მლნ).

(7 ქულა)

მოგეთხოვებათ:

ზემოთ აღწერილ თითოეულ საკითხთან მიმართებით:

- (i) კომენტარი გააკეთეთ ჯგუფის აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების ხარისხთან დაკავშირებით, სადაც განიხილავთ ხარისხის მართვაში გამოვლენილ და სხვა პროფესიულ პრობლემებს; და
- (ii) მოიფიქროთ რეკომენდაციები, დამატებით რა ზომებს უნდა მიმართოს თქვენმა ფირმამ, მათ შორის, შესაფერისი აუდიტის პროცედურების შესახებ, სანამ ჯგუფის აუდიტორის დასკვნის საბოლოო ვერსიას შეადგენს.

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის უნარის დემონსტრირებისთვის.

(5 ქულა)

(სულ: 25 ქულა)